ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

ლექცია-სემინარების ჩატარების მონიტორინგის წესი

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექცია-სემინარების ჩატარების მონიტორინგს უზრუნველყოფს შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაცია;

2. ლექციების და სემინარების ჩატარების მონიტორინგს და აღრიცხვას აწარმოებენ ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაციის შესაბამისი თანამშრომლები;

3. ზემოაღნიშნული პირები ფაკულტეტის/სკოლის სასწავლო პროცესის კოორდინატორების მიერ მიწოდებული ცხრილების საფუძველზე ფიზიკურად ახორციელებენ ლექცია-სემინარების ჩატარების მონიტორინგს, აღრიცხავენ აღნიშნულ ინფორმაციას ცხრილში და ელექტრონულად უზიარებენ სასწავლო პროცესის კოორდინატორებს (ცხრილში წარმოდგენლია ინფორმაცია, როგორც პროფესორის, მასწავლებლის, სასწავლო პროცესში ჩართული პირის, შემდგომში წესში მოხსენიებული როგორც ,,ლექტორი“, ასევე საგნის სახელწოდების, დროის და აუდიტორიის შესახებ);

4. გაცდენის ფაქტის შემთხვევაში სასწავლო პროცესის კოორდინატორი გონივრულ ვადაში უკავშირდება ლექტორს და ადგენს გაცდენის მიზეზს;

5. ლექტორი, რომელმაც გააცდინა ლექცია და/ან სემინარი, ვალდებულია ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან შეთანხმებით, ჩანიშნოს გაცდენილი ლექციის ან სემინარის აღდგენა, რომელიც უნდა აისახოს ასევე შემდგომში აღრიცხვის ცხრილში როგორც ,,ლექციის აღდგენა“ და მიეთითოს, რომელი თარიღის გაცდენილი ლექციის აღდგენაა;

6. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის კოორდინატორი ვალდებულია ადმინისტრაციული მხარდაჭერა გაუწიოს ლექტორს გაცდენილი ლექციის აღდგენის დაგეგმვის პროცესში (აუდიტორიის მოძიება, სტუდენტებთან კომუნიკაცია და სხვ.);

7. ამასთანავე, ლექტორი ვალდებულია, ლექციის გაცდენის, მათ შორის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, (მაგ:, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რაც გულისხმობს მომართვას საავადმყოფო ფურცელზე

გადასვლის შესახებ, მივლინება, რომელიც ფორმდება სამართლებრივი აქტის სახით, ან სხვა შემთხვევებში, რომელიც ექვემდებარება ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ ინდივიდუალურ განხილვას), წინასწარი, დროული კომუნიკაცია იქონიოს სტუდენტებთან არგუსის საშუალებით. ასევე, დროულად მიაწოდოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის კოორდინატორს გაცდენასთან დაკავშირებით. თავის მხრივ, სასწავლო პროცესის კოორდინატორი ვალდებულია, გადაამოწმოს, შეატყობინა თუ არა ლექტორმა არგუსის საშუალებით სტუდენტებს გაცდენასთან დაკავშირებით. თუკი ლექტორს შეტყობინება გაგზავნილი არ აქვს, კოორდინატორი ვალდებულია, თავად მისწეროს სტუდენტებს გაცდენასთან დაკავშირებით;

8. მივლინების ან საავადმყოფო ფურცელზე გადასვლის შემთხვევაში, ლექტორი ვალდებულია განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მივლინების ან საავადმყოფო ფურცელზე გადასვლის დამადასტურებელი დოკუმენტი და გამოგზავნილ უნდა იქნას info@iliauni.edu.ge-ზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია გაცდენილი საათების ოდენობისა და აღდგენის გრაფიკის შესახებ;

9. არასაპატიო მიზეზით დაგვიანება და არასაპატიო მიზეზით აკადემიური საათის გაცდენა ითვლება შრომის შინაგანაწესის დარღვევად. საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში დაგვიანება/გაცდენა ჩაითვლება არასაპატიოდ, რა დროსაც უნივერსიტეტი უფლებამოსილია, გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის შინაგანაწესის დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.